ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ლ. ჯ. /სიითი ..../

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 047/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი დ. ჩ. /სიით...../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ჩ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 24 აპრილს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წელს, ადვოკატმა დ. ჩ.-მ კლიენტის სახელით, სამოქალაქო საქმეზე, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნ. გ.-ის წინააღმდეგ, რომლის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ლ. ჯ.. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მიუხედავად ლ. ჯ.-ის მითითებისა, ადვოკატი დ. ჩ. შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართავდა მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. ჩ.-მ დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი, რაც გამოიხატა მის მიერ სასამართლოში წარდგენილ შეურაცხმყოფელ განცხადებებში. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ეთიკის კომისიას წარუდგინა ადვოკატ დ. ჩ.-ის „საპაექრო სიტყვა“ და

2018 წლის 12 მარტის წერილობითი „ახსნა-განმარტება“, მის მიერ ხაზგასმული კონკრეტული ფრაზებით, რომელიც მისთვის შეურაცხმყოფელია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ 2018 წლის 28 მაისსა და 2019 წლის 26 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი პოზიციების მიხედვით, ის სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენს მოსარჩელე ლ. ი.-ს ინტერესებს, ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარის - ნ. გ.-ის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ლ. ჯ., რომლის მიერ შედგენილი შესაგებელი შეიცავს ისეთ გამონათქვამებს, რაც არაეთიკურია, თუმცა ადვოკატ დ. ჩ.-ის განმარტებით, ის პატივს სცემს კოლეგიალობის პრინციპს და ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი გამონათქვამების გამო, პრეტენზიით არ მოუმართავს ეთიკის კომისიისთვის. სასარჩელო მოთხოვნა ეხება გარიგებათა ბათილად ცნობის საკითხს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ შედგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში და საპაექრო სიტყვაში დასმული აქვს პირობითი ნიშნები და მას კონკრეტულად არ აქვს ხაზგასმული, თუ რომელი გამონათქვამებია მისთვის შეურაცხმყოფელი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ჯ.-მ, როგორც მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა, 2018 წლის 18 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის წარდგენილ შესაგებელში მიუთითა შემდეგი შეურაცხმყოფგელი გამონათქვამები: „...მორალზე საუბრობს მოსარჩელის წარმომადგენლები, რისი უფლებაც მათ არ გააჩნიათ და ბოლშევიკური სულისკვეთებით აღსავსენი, ზრახავენ მოპასუხეს რამოდენიმე ბინის ქონებაში...“; „...უკეთესი მატერიალური ცხოვრების ძიების საქმეში - ერთი წარმომადგენელი თეთრიწყაროდან, ხოლო მეორე ოზურგეთიდან (იგულისხმება ადვოკატი დ. ჩ.) გახლავან თბილისში ჩამოსულები და მათ მიერ ნახსენები მორალის გათელვით, ყველანაირი გზით, ცდილობენ შემოსავლის მოპოვებას“; „...საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების მოყვანა, თვალისახვევაა, ჭიქაში ქარის დაყენება და სიმულაცია გახლავთ...“ „მოსარჩელის ექსკურსი სასამართლოში კეთილსინდისიერების შესახებ, არაფრის მომტანია და უადგილო დროის კარგვაა“; „ჰკითხეთ ქალბატონ მოსამართლეს იცის რაიმე მისი მეზობლების შესახებ, აქვს ჭორიკნობისა და ლაქლაქის დრო? არა. ასეთივე დაკავებული და მოუცლელი გახლავთ ჩემი მარწმუნებელიც. რაც შეეხება განსხვავებას თბილისსა და სოფელს შორის, ამის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ.“

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან სასამართლოსადმი წარდგენილ წერილობითი ახსნა-განმარტებით პასუხი გასცა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ ლ. ჯ.-ის ზემოაღნიშნულ არაკორექტულ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, კერძოდ, მიუთითა შემდეგი: „აღნიშნულის გათვალისწინებით, მსხვერპლის წარმომადგენლობისათვის ბოლშევიკური სულისკვეთების დაწამება (რომელიც ნამდვილად გვირჩევნია მეჯღანუაშვილის სულისკვეთებას) და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მორალის მოშველიება, ჩვენი აზრით, მართლაც და კონსტიტუციურ უფლებებს ამოფარებული საშოვარზე გასული შულერის სიმულაციაა, რასაც დარწმუნებული ვარ აუცილებლად შეამჩნევს სასამართლო“. ადვოკატის განცხადებით, მას მიუხედავად, მეორე წარმომადგენლის მოთხოვნისა, სასამართლო სხდომაზე არ გამოუქვეყნებია ახსნა-

განმარტებიდან აღნიშნული ამონარიდი და არ გამოუყენებია ვერბალურად, საჯაროდ, ვინმეს გასაგონად და საჩივრის ავტორის დასამცირებლად.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მას თავის მოსაზრებებში მითითებული აქვს „მეჯღანუაშვილი“ ლიტერატურული ნაწარმოებიდან „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ მიხედვით, რომლის გმირი არის ვაჭარი და ყველანაირი საშუალებით ცდილობს სიმდიდრის დაგროვებას და ვინაიდან, ადვოკატ ლ. ჯ.-ს კლიენტის ინტერესების კანონიერი ხერხებით დაცვა „ბოლშევიკური სულისკვეთება“ ჰგონია, მაშინ ამ ყველაფერს „მეჯღანუაშვილის“ სულისკვეთება სჯობს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის შემდეგი გამონათქვამით: „კონსტიტუციურ უფლებებს ამოფარებული სამართლებრივი შულერი“, პასუხობს საჩივრის ავტორის მიერ მის მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ შემდეგ ფრაზას „ყველანაირი გზით მორალის გათელვით შემოსავლის მოპოვებაში...“.

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №...../ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული ან შეწყვეტილი.

3.2 2018 წლის 24 აპრილს ადვოკატმა ლ. ჯ.-მ მომართა ეთიკის კომისიას საჩივრით. სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5(გ) მუხლის , ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7, მე-10.1 მუხლებით გათვალისწინებული ქმედება და მოპასუხე ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები ექცევა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა დ. ჩ.-მ, როგორც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა სასამართლოსთვის წარდგენილ საპაექრო სიტყვაში და ახსნა-განმარტებაში მიუთითა საჩივრის ავტორისა და მისი მარწმუნებლის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

5.2. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

5.3. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება". საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას".

5.4. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კოლეგის მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის წერილობით შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ადვოკატმა პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს და ამავე დროს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულება და პატივისცემა შეინარჩუნოს, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობისას. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს თავის საქმიანობას და ყოველდღიური საქმიანობით, უნდა იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

5.5. „ადვოკატები უნდა ზრუნავდნენ კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისაკენ და აუცილებლად უნდა სცენ პატივი ურთიერთპროფესიულ ღირსებას" (ეთიკის კომისიის 25/05/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #094/14).

5.6. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის საქმიანობისათვის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია

კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-XX-XX).

5.7. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის - ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია მისი მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის - ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ წერილობითი ფორმით შედგენილი საპაექრო სიტყვა და 2018 წლის 12 მარტის წერილობითი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორს წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმული აქვს ფრაზები, აგრეთვე, კითხვის ნიშნისა და ძახილის ნიშნით მონიშნული აქვს წინადადებები, რომლებსაც ის მიიჩნევს შეურაცხმყოფელად (საპაექრო სიტყვა - ს.ფ.10; ახსნა-განმარტება - ს.ფ. 15).

5.8. ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ სასამართლოსთვის წერილობითი ფორმით წარდგენილია შემდეგი მოსაზრებები, რომლებსაც სადავოდ ხდის საჩივრის ავტორი ადვოკატი ლ. ჯ.:

„მოპასუხე ნ. გ., ისე აყალიბებეს თავის შესაგებელს, ვერ გაიგებ თვლის თუ არა მეზობლად მოსარჩელის ოჯახს“;

„… ანუ, მათი ლოგიკით გამოდის, რასაც ნ. გ. სესხად აძლევდა, იგივე თანხა უკვე დასაქონლებული სახით მეორე მეზობელ ლ. ი.-ს მოჰქონდა, რომელსაც მიცემული ჰქონდა განუსაზღვრელი ლიმიტი“;

„… თუმცა, რადგან მოქმედება ქ.თბილისში ხდება მეზობლად არ თვლის და არც იმის ვალდებულად მიაჩნია მისი მარწმუნებელი, რომ მინიმალური ინფორმაცია მოეძია შესაძენ სადავო ბინასთან დაკავშირებით“;

„… თუმცა მას რაიმე მტკიცებულებით, ჩვენს მიერ სარჩელს დართული ფოტო, რომელიც გადაღებულია ლ. ი.-ს სადარბაზოდან და რომელზეც მკაფიოდ ჩანს ნ. გ.-ის სადარბაზოში შესასვლელი კარი, არ გაუქარწყლებელია“;

„…მისი თქმიდან ასე გამოდის, რომ ქალაქში სოფელთან შედარებით მორალური ბარიერები არ უნდა გაგვაჩნდეს და საკუთრების უფლების კონსტიტუციურ გარანტიებს სოფელთან შედარებით, თურმე ქალაქში განსაკუთრებული ძალა გააჩნია“;

„...რაც განაცხადა კიდეც ბატონმა ლ. -მა წინა სხდომაზე, რომ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ რომ ის არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა“;

„... მისთვის, როგორც წინა კორპუსებში მცხოვრებისათვის, როცა კორპუსებს შორის მანძილი 30 მეტამდეა ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო, ან მესამე ვარიანტი, თავისუფლად შეეძლო გაერკვია...“;

„... ხელშეკრულებაში ჩაწერილია იგივე ფასი - 33 000 აშშ დოლარი, რაც პირველ - ლ. ი.-ს და მ. ი.-ს ხელშეკრულებაშია...“;

„... ნ. გ.-ის წარმომადგენელს აღნიშნული საკითხი უბრალოდ წვრილმანად მიაჩნია და პასუხსაც არ გვცემს“;

„... შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს“;

„... ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციას და შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა“;

„... ე.ი. ამ შემთხვევაში ,სასამართლომ უნდა დაადგინოს“; „... ქალბატონი ნ. გ. პროცესზე არ ცხადდება“; „...მეგობარს გონივრული წინდახედულების ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა კიდეც, რომ უძრავი ქონების ნაწილი“; „...მოპასუხე ნ. გ.-ის წარმომადგენელს ის კი არ უნდა ემტკიცებინა, რომ ეს თბილისია ...“; „მხოლოდ მოსარჩელეზე არ გადადის მტკიცების ტვირთი...“;

„რეპრესიული ლოგიკით ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ასეთი წინდახედულების მინიმუმის გამოვლენა მას არ მოეთხოვება, რაც რბილად რომ ვთქვათ, ცინიზმია და არაფერი აქვს ნორმალურ ვითარებაში დადებულ საქმიან გარიგებასთან“; „...მხოლოდ მოსარჩელეზე არ გადადის მტკიცების ტვირთი“; „... მას ევალება ამტკიცოს თუ რატომ არ გამოიჩინა მინიმალური წინდახედულება და ძალისხმევა“; „ … ნ. გ.-ის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრერბით მნიშვნელოვანია ლ. მ.-ზე ბინის გასხვისების მცდელობის მომენტი ...“;

„ … როცა ფეხმოჭრილი მოხუცებული ადამიანი გედავება ერთადერთი საცხოვრისს, მორალური თვალსაზრისით ადამიანი თავად უნდა იყოს დაინტერესებული საკითხის გარკვევით…”;

„… ჩვენი ღრმა რწმენით, მეორე გარიგებასაც და მოპასუხე ნ. გ.-ის მოქმედებას, არაფეერი აქვს საერთო პატიოსან აზროვნებასთან და მოქმედებასთან, სამართლიანობის და ზნეობის მინიმალურ სტანდარტთა, აქედან გამომდინარე კანონიერებასთან, გამომდინარე იმ ფაქტორიდან, რომ კანონი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებას და მიგვაჩნია, რომ მისი წარმომადგენლის მცდელობა, სასამართლოს კანონიდან გამოაყვანინოს უსამართლო შედეგი...“;

„მოპასუხე მ. ი.-მ შეიტყო, რომ ვეღარ მიიღებდა დანარჩენ თანხას (უბრალოდ ვერ გაწვდებოდა იმ მომენტში მოსარჩელე), მოელაპარაკა ლ. ი.-ს წინა მეზობელს, მეორე მოპასუხე ნ. გ.-ს და საჯარო რეესტრში ზუსტად ლ. ი.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის ხელშეკრულებით იპოთეკით დატვირთული ბინა გადაუფორმა იგივე ფასად…”;

„… გამოცხადდა ლ. ი.-სთან და ფეხმოჭრილ მწოლიარე ქალს მოსთხოვა ბინის დაუყოვნებლივ დაცლა“ - აღნიშნულ ფრაზასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის მიერ კომენტარის სახით მითითებულია - „სიცრუეა“.

„... რაც ცოტა არ იყოს, სსსაქართველოს ბანკის“ პრაქტიკიდან გადახვევად გვეჩვენა.“;

„... ბანკის მიერ ხელშეკრულების 4.1.1.5. პუნქტით ბინის ღირებულება განისაზღვრა 20000 აშშ დოლარად, განსხვავებით საქმეში არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის - 33000 აშშ დოლარისგან.“;

„...ორივე კორპუსს აქვს ერთი პატარა საერთო ეზო, სადავო ბინის და ნ. გ.-ის სადარბაზოები განთავსებულია ზუსტად ერთმანეთის პირდაპირ“; „ნ. გ.-ს რაიმე კომუნიკაცია სადავო ბინის შეძენამდე მოსარჩელესთან არ ჰქონია.“;

„... მხოლოდ ბინის შეძენის შემდეგ გამოეცხადა მოსარჩელეს და მის მეუღლეს და როგორც მესაკუთრემ, კატეგორიულად მოსთხოვა ბინის გამოთავისუფლება.“ - საჩივრის ავტორი მოცემულ მოსაზრებაზე კომენტარის სახით უთითებს - „ტყუილია“.

„... უნდა გამოირკვეს შემძენმა იცოდა თუ არა, ან უნდა სცოდნოდა თუ არა გონივრული წინდახედულების ფარგლებში საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის თაობაზე.“ აღნიშნულ მოსაზრებაზე საჩივრის ავტორის მიერ მითითებულია კომენტარი: „საერთო ეზოა? უნდა გამოირკვეს? ვინ უნდა დაადგინოს?“

„... ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო, ან მესამე ვარიანტი, თავისუფლად შეეძლო გაერკვია, მიუხედავად იმისა, რომ მარინა ინასარიძე ფორმალურად გახლდათ ბინის მესაკუთრე ... რატომ არ ცლიდა წინა მესაკუთრე და მისი მეუღლე ბინას და გამოერკვია, მართლა მიჰყიდა თუ არა მოსარჩელემ მ. ინასარიძემ ბინა.“; „მოპასუხეთა შორის დადებული გარიგება რომ სავარაუდოდ ნაჩქარევია...“;

„... ქალბატონ ნ. გ.-ს რამდენჯერ ვთხოვეთ დალაპარაკება და შეხვედრა და რაზეც თავი შორს დაიჭირა...“;

„... მოპასუხე ნ. გ.-ის წარმომადგენელი ზემოაღნიშნული მტკიცებულებების (ლ. მ.-სთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების) საქმეზე დართვის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა და გასაგებია რატომაც. კერძოდ , ის მთელი 8 თვის მანძილზე საგულდაგულოდ ჩქმალავდა ამ ფაქტს ...“

„... ავადმყოფი და უმწეო მოხუცების მიმართ ჩატარებული მანიპულაციით იურიდიულად უკვე ხელში ჩაგდებული ბინის...“

„...რათა ქალბატონ ნ. გ.-ს, თუკი კეთილს ინებებდა და ფაგველაპარაკებოდა, ამ პროცესში ბინა სხვა პირზე არ გადაეფარებინა და ჩვენი ეს წინდახედულება...“ ;

„... თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ და პირველი გარიგება ბათილად იქნა ცნობილი, ვიფიქროთ რომ, წინ არაფერი უდგას მ. ი.-ს და ნ. გ.-ს ხელშეკრულების ბათილად ცნობა...“;

5.9 ზემოაღნიშნული ფრაზების მითითებით ადვოკატის მიერ დაცულია გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, რომელიც კონსტიტუციითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონითაა განმტკიცებული. მითითებული ფრაზები უმეტესწილად ეხება მხარეთა შორის არსებულ სადავო საქმესთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას და გამომდინარეობს კლიენტის ინტერესების დაცვიდან. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს - ადვოკატ ლ. ჯ.-ს კომენტარის სახით აქვს მითითებული ადვოკატ დ. ჩ.-ის წერილობით პოზიციებთან დაკავშირებით შემდეგი ფრაზები: „ტყუილია, სიცრუეა, საეთო ეზოა? ვინ უნდა დაადგინოს?“ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი არის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი და მისთვის შესაძლოა, არ იყოს მისაღები ადვოკატის მიერ წარმოდგენილი შეფასებები სადავო გარემოებებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს შეფასებები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას, არ არის შეურაცხმყოფელი და ექცევა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რის გამოც არ შეიძლება ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგიას მნიშვნელოვნად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს საჩივრის ავტორსა და ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ წერილობით დოკუმენტებში წარმოდგენილ შემდეგ გამონათვქამებზე. კერძოდ, ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ წარდგენილ შესაგებელში მითითებულია შემდეგი მოსაზრებები: „...მორალზე საუბრობს მოსარჩელის წარმომადგენლები, რისი უფლებაც მათ არ გააჩნიათ და ბოლშევიკური სულისკვეთებით აღსავსენი, ზრახავენ მოპასუხეს რამოდენიმე ბინის ქონებაში ...“; „...უკეთესი მატერიალური ცხოვრების ძიების საქმეში - ერთი წარმომადგენელი თეთრიწყაროდან, ხოლო მეორე ოზურგეთიდან (ადვოკატი დ. ჩ.) გახლავან თბილისში ჩამოსულები და მათ მიერ ნახსენები მორალის გათელვით, ყველანაირი გზით, ცდილობენ შემოსავლის მოპოვებას“; „...საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების მოყვანა, თვალისახვევაა, ჭიქაში ქარის დაყენება და სიმულაცია გახლავთ ...“ „მოსარჩელის ექსკურსი სასამართლოში კეთილსინდისიერების შესახებ, არაფრის მომტანია და უადგილო დროის კარგვაა“; „ჰკითხეთ ქალბატონ მოსამართლეს იცის რაიმე მისი მეზობლების შესახებ, აქვს ჭორიკნობისა და ლაქლაქის დრო? არა. ასეთივე დაკავებული და მოუცლელი გახლავთ ჩემი მარწმუნებელიც. რაც შეეხება განსხვავებას თბილისსა და სოფელს შორის, ამის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ.“ (2018 წლის 16 აგვისტოს შესაგებელი - ს.ფ.28).

5.11 აღნიშნული გამონათვქამების საპასუხოდ ადვოკატმა დ. ჩ.-მ წერილობითი ფორმით სასამართლოსადმი წარდგენილ ახსნა-განმარტებაში მიუთითა: „აღნიშნულის გათვალისწინებით, მსხვერპლის წარმომადგენლობისათვის ბოლშევვიკური სულისკვეთების დაწამება (რომელიც ნამდვილად გვირჩევნია მეჯღანუაშვილის სულისკვეთებას) და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მორალის მოშველიება, ჩვენი აზრით, მართლაც და კონსტიტუციურ უფლებებს ამოფარებული საშოვარზე გასული შულერის სიმულაციაა, რასაც დარწმუნებული ვარ აუცილებლად შეამჩნევს სასამართლო“.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია ორივე მხარეს, როგორც ადვოკატებს მოუწოდებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ კოლეგიალობის დაცვის ფარლგებში, მაღალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. მოსაზრებების გამოთქმის დროს არ გასცდნენ პროფესიული საქმიანობის მიზანს და მხოლოდ ამ მიზნიდან გამომდინარე წარადგინონ შეფასებები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მართალია, ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ მოცემული მოსაზრებები წარმოადგენდა ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ მითითებულ გამონათქვამებზე პასუხს, თუმცა მიზანშეწონილია, კოლეგებმა თავი შეიკავონ ორაზროვანი შეფასებებისგან, რომლებიც შესაძლოა, მეორე მხარის მიერ შეურაცხმყოფელად იქნეს აღქმული.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №047/18 ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ /სიითი №...../, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/